

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების მიმოხილვის თაობაზე

განმარტებითი ბარათი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი, საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, დამტკიცებულია 2025 წლის 29 დეკემბერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს №39 დადგენილებით.

საწყისი ბიუჯეტი მოცულობა განისაზღვრა **76500.0** ათასი ლარის მოცულობით.

მიმდინარე საფინანსო წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის მერიის წარდგინებით მათი განხილვის და საკრებულოს გადაწყვეტილებით შეტანილ იქნა რიგი ცვლილებები, რომლებიც შეეხო წლის დასაწყისში არსებული ნაშთების - მათ შორის ვალდებულებათა ქვეშ მყოფი და ვალდებულებით დაუტვირთავი თავისუფალი თანხების, სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გრანტებით გამოყოფილი ფულადი სახსრების და შიდა საბიუჯეტო ცვლილებების ბიუჯეტში ასახვას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტის მოცულობამ 2026 წლის 1 ივლისის მდგომარეობით შეადგინა **115,042.8** ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულება 6 თვეში იძლევა შემდეგ სურათს:

შემოსულობების ნაწილში

შემოსულობების გეგმა-პროგნოზი 6 თვეში მთლიანობაში განისაზღვრა **61,151.1** ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის საკუთარი შემოსულობების გეგმა **41,285.7** ათასი ლარი, მთლიანობაში შესრულებამ შეადგინა **47,955.8** ათასი ლარი, მათ შორის საკუთარი შემოსავლებიდან **39,442.5** ათასი ლარი, რამაც პროგნოზირებული საგეგმო მაჩვენებლის 95.5 პროცენტი შეადგინა.

ცალკეული სახეობათა მიხედვით შესრულება იძლევა შემდეგ სურათს:

საგადასახადო შემოსავლები (საკუთრივი შემოსავლების ძირითადი წყარო - 80 პროცენტამდე) პროგნოზირებული იყო **31,639.6** ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **30,889.9** ათასი ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის 98%-ია. საგადასახადო შემოსავლების ძირითადი თანხა **24,958.0** ათასი ლარი მიღებულია დამატებითი ღირებულების გადასახადიდან, ქონების გადასახადიდან შემოსულია **5,931.9** ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები 6 თვეში პროგნოზირებული იყო **3,471.7** ათასი ლარის მოცულობით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა **3,479.1** ათასი ლარი ანუ 100.2%.

სხვა შემოსავლებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი (თუმცა არასასურველია) უჭირავს ჯარიმებიდან შემოსავლებს და 6 თვეში მან შეადგინა **2,023.8** ათასი ლარი მათ შორის **1,397.7** ათასი ლარი შემოსულია საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო.

სხვა შემოსავლებიდან ჯარიმების შემდეგ ყველაზე დიდი ხვედრითი წილი უჭირავს მოსაკრებელს ტერიტორიის დასუფთავებიდან. 6 თვეში აღნიშნული მოსაკრებელი მიღებულია **432.8** ათასი ლარის ოდენობით. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული სახიდან შემოსავალი ბოლო წლების მანძილზე ყოველწლიურად მზარდია. კონკრეტულად 2023 წელს მობილიზებულ იქნა **683.8** ათასი ლარი, 2024 წელს **734.7** ათასი ლარი, 2025 წელს **802.0** ათასი ლარი, მიმდინარე წელს პროგნოზირებულია **900.0** ათასი ლარის შემოსვლა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება.

სხვა შემოსავლები მიწისა და შენობის იჯარიდან 6 თვეში შემოსულია **242.0** ათასი ლარი, ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან **121.0** ათასი ლარი.

6 თვეში შემოსულობა არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან მიღებულია მხოლოდ **446.1** ათასი ლარი.

ბიუჯეტის შემოსულობების უკმარისობის გათვალისწინებით ძირითადად სათამაშო ბიზნესის ტოტალიზატორის და სათამაშო ავტომატების ფუნქციონირების შეწყვეტის გამო. მუნიციპალიტეტზე გამოყოფილ და მიღებულ იქნა ფინანსური დახმარება სპეციალური ტრანსფერის სახით **4,420.0** ათასი ლარის ოდენობით, რაც ასევე ასახულია საგეგმო მაჩვენებელში. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს-გრანტებს (გარდა დელეგირებული თანხებისა) ბიუჯეტში ირიცხება შესრულებული სამუშაოების მიხედვით და 6 თვეში მიღებულია **7,232.9** ათასი ლარის ოდენობით.

ბიუჯეტის გადასახდელები

2026 წლის 6 თვეში გადასახდელები მთლიანობაში პროგნოზირებულ იყო **65,976.3** ათასი ლარის მათ შორის საკუთრივი ბიუჯეტით **42,800.7** ათასი ლარის ოდენობით.

ბიუჯეტის გადასახდელებში მმართველობისა და საერთო დანიშნულების ხარჯები მთლიანად - **9,461.1** ათასი ლარის ოდენობით მიეკუთვნება საკუთარი ბიუჯეტის ხარჯებს.

აქედან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფაზე მიიძღრათა **7,259.2** ათასი ლარი.

1,976.2 ათასი ლარი გამოიყო მგფისა და სხვა ვალდებულებათა დასაფარავად.

აღნიშნული 0100 კოდით **155.7** ათასი ლარი მიიძღრათა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეო მეთვალყურეობის კამერების დასამონტაჟებლად.

70.0 ათასი ლარი საერთო დანიშნულების ხარჯების დასაფინანსებლად.

ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის დარგით კოდი 02 00 6 თვეში მთლიანობაში პროგნოზირებული იყო **29,823.7** ათასი ლარი, მათ შორის საკუთარი ბიუჯეტით **8819.4** ათასი ლარის ოდენობით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტით **21004.3** ათასი ლარი, აქედან ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა სულ **15699.2** ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტით 8779.1 ათასი ლარი ხოლო საკუთარი ბიუჯეტით **6920.1** ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის დარგით საგზაო ინფრასტრუქტურა მოხმარდა **6387.7** ათასი ლარი ძირითადად **6240.3** ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები /იხ. დანართი N1/.

2026 წლის 6 თვეში საგზაო ნიშნების მოწყობისა და მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის (კოდი: **020103**) განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიხარჯა 37.5 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებას, სატრანსპორტო ნაკადების მოწესრიგებასა და ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციას, მათ შორის:

1. 2026 წლის 19 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება №138 (NAT260008549), ღირებულებით 13.1 ათასი ლარი, რომლის ფარგლებში შეძენილ იქნა სხვადასხვა ტიპის (საინფორმაციო, მაფრთხილებელი და ამკრძალავი) საგზაო ნიშნები;
2. 2026 წლის 20 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება №139 (NAT260008545) შპს „ანსართან“, ღირებულებით 17.6 ათასი ლარი, რომლის ფარგლებში განხორციელდა სიჩქარის შემანელებელი ბარიერების მონტაჟი.
3. 2026 წლის 27 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება №148 (NAT260009253), ღირებულებით 6.8 ათასი ლარი, რომლის ფარგლებში შეძენილ იქნა საგზაო ნიშნების დგარების მოსაწყობად საჭირო ფოლადის მილები.

წყლისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციაზე გახარჯულია 594.9 ათასი ლარი, აქედან 470.7 ათას ლარს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრებს, ხოლო 124.2 ათასი ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებს, განხორციელებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები (იხ. დანართი N2).

გარე განათებისათვის ექვს თვეში გაიხარჯა 827.3 ათასი ლარი მთლიანად ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებით.

2399.1 ათასი ლარი 2026 წლის ორ კვარტალში სუბსიდიით მიიმართა მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამაზე, ხოლო საკუთარი სახსრებით გაიხარჯა 584.2 ათასი ლარი, რომლის განმახორციელებელია მერიის დაფუძნებული შპს მუნიციპალური ტრანსპორტი.

შპს მუნიციპალური ტრანსპორტის სარგებლობაში არსებული 40 ერთეული სამგზავრო ავტობუსი ყოველდღიურად ოპერირებდა 32 მარშრუტზე, აქედან 10 ავტობუსი ქალაქის ტერიტორიაზე და დანარჩენი სოფლის მარშრუტებზე მომსახურებისათვის.

2026 წლის ექვს თვეში სამგზავრო ავტობუსებით იმგზავრა 1305347 მგზავრმა, აქედან შეღავათებით ისარგებლა 184366 ადამიანმა.

შპს ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტის მიღებულმა ფაქტიურმა შემოსავალმა 2026 წლის პირველ ნახევარში შეადგინა 3634.4 ათასი ლარი. აქედან ძირითადი 2829.3 ათასი ლარი არის ბიუჯეტიდან მიღებული სუბსიდია - 78%, ხოლო საკუთარი შემოსავლები არის 805.1 ათასი ლარი.

მუნიციპალურ ტრანსპორტს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიუხედავად ჯერ კიდევ გააჩნია პრობლემები, რაც უკავშირდება საჭირო ფინანსური ბაზის შექმნას, საკუთარი ფულადი სახსრების გაზრდის ღონისძიებებს.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით“ (კოდი 02 05) 2026 წლის ორ კვარტალში გაიხარჯა 45.7 ათასი ლარი. დაფინანსდა მერიაში რეგისტრირებული სხვადასხვა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო ქონების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი 11 პროექტი:

1. სადარბაზოს რეაბილიტაცია რკინის კარების მოწყობა - 6 ;
2. სამგზავრო ლიფტის და შახტის რეაბილიტაცია - 3;
3. შიდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია - 2.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელებულ სამუშაოებზე მიიმართა 139.2 ათასი ლარი, აქედან 92.9 ათასი ლარი შეადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრებს, ხოლო 46.3 ათასი ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები. (იხილეთ დანართი N3).

კეთილმოწყობის მიმართულებით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-სათვის, 2026 წლის პირველ ნახევარში ბიუჯეტიდან გამოყოფილი და ათვისებულია 2742.8 ათასი ლარი, მათ შორის: ძირითად მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე 1758.2 ათასი ლარი, გაცემულია პრემია 138.9 ათასი ლარი, შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურება 95.2 ათასი ლარი, მ/შ პრემია შტატგარეშე თანამშრომლებზე 7.1 ათასი ლარი, კომუნალური ხარჯი 27.8 ათასი ლარი, საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი 98.2 ათასი ლარი, ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯი 167.6 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი 38.2 ათასი ლარი, ოფისის ხარჯი რომელიც არ არის კლასიფიცირებული 210.2 ათასი ლარი.

2026 წლის ექვსი თვის განმავლობაში ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს მიერ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველდღიურად

ხდებოდა გარე-განათების ქსელის მოვლა, ექსპლუატაცია-რეაბილიტაციასთან და ქსელის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამუშაოებისა და საჭირო ღონისძიებების განხორციელება, რომლისთვისაც გახარჯულია 21.3 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისტემატურად ხორციელდებოდა წყალმომარაგების სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია, წყალსაქაჩი ტუმბოებისა და ტუმბოს ძრავების შესყიდვა-შეკეთება, შადრევნების, შადრევნების სანიაღვრე არხების ამოწმენდა-რეაბილიტაცია, გზების მოსწორება-მოხრეშვა და მოწესრიგებასთან დაკავშირებული სამუშაოები, ამ კუთხით „ცენტრი“-ს მიერ გაწეულმა ხარჯმა ექვს თვეში შეადგინა 22.7 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა კეთილმოწყობითი და ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესარულებად გახარჯულია 166.5 ათასი ლარი.

პერიოდულად მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების ობიექტების, მწვანე ნარგავების, დეკორატიული ხე-მცენარეების, მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული სამუშაოები, შეძენილია კულტივირებული მცენარეები, რომლის ხარჯია 29.8 ათასი ლარი.

სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა პატრონობის დამტკიცებული წესის შესაბამისად ხორციელდებოდა სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა.

საანგარიშო პერიოდში საკუთარი შემოსავლებიდან შემოსულია (სასაფლაო მიწის სარგებლობის საფასური) 35.8 ათასი ლარი.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელების მიზნით გახარჯულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები - 128.1 ათასი ლარის ოდენობით. დაფინანსდა კოლხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბუკიას ქუჩა N30 და N34-ში მდებარე და ენგურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯანაშიას N8-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობა და შეძენა პროგრამით 6 თვეში ათვისებულია 18.1 ათასი ლარი;

რგფ-დან და მგფ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებაზე მიიმართა 375.1 ათასი ლარი;

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე სულ მიიმართა - 1765.8 ათასი ლარი, აქედან 1 674.7 ათასი ლარი შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებს, ხოლო 91.1 ათასი ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებია. განხორციელებულია შემდეგი პროექტები (იხ. დანართი N4).

საექსპერტო მომსახურებასა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე გახარჯულია 71.5 ათასი ლარი;

მიწების საკადასტრო ნახაზების შედგენის და ქონების შეფასების (კოდი 02 13) სამუშაოების მომსახურების კუთხით 2026 წლის ექვს თვეში ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიხარჯა 2.1 ათასი ლარი.

სამუშაო გეგმის შესაბამისად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების, მათ შორის მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების, არასაცხოვრებელი ფართების და ხაზოვანი ნაგებობების საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი და შიდა აზომვითი ნახაზების მომზადებაზე 2026 წლის 4 მარტს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N53 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მომზადდა 6 ობიექტის აზომვითი ნახაზი.

საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის პროგრამით (კოდი 02 15) 2026 წლის პირველ ნახევარში გაიხარჯა 66.9 ათასი ლარი.

ხორციელდება და გრძელდება პროექტები:

1. EU Black Sea CBC პროექტი – „მწვანე ქალაქები, ერთად მწვანე ქალაქებისთვის“;
2. ენერგომენეჯმენტის სისტემის (EnMS) დანერგვა;
3. პროექტი „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება საქართველოში“ (LEDP).

სამოქალაქო ბიუჯეტის და მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებით განხორციელებულ პროექტებზე გახარჯულია 99.6 ათასი ლარი, აქედან 76.4 ათასი ლარი შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრებს. განხორციელებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები (იხილეთ დანართი N5).

დასუფთავება და გარემოს დაცვა

მიმდინარე წლის 6 თვეში დასუფთავებისა და გარემოს დაცვის დარგით ბიუჯეტიდან გამოიყო 5,250.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 5,773.4 ათასი ლარის 91%-ს შეადგენს.

აღნიშნული დარგით ყველაზე დიდი მოცულობით 77 პროცენტი 4428.3 ათასი ლარი პროგნოზირებული იყო დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის მუნიციპალური პროგრამის დაფინანსებაზე /კოდი 0301/. აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელ ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრზე“ გადარიცხულ და ათვისებულ იქნა 3973,6 ათასი ლარი.

ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ეფექტურად ხარჯვისა და დაგეგმილი პროგრამების შესრულების შედეგად მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გარემოს ეკოლოგიური, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა.

ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისა, ეკონომიკური სექტორისათვის მომსახურების სერვის მიწოდების ჯერადობა და მომსახურების ხარისხი. მუნიციპალიტეტში მკვეთრად შემცირდა დანაგვიანების მაჩვენებელი. უფრო მიმზიდველი გახდა ქალაქის ტერიტორია, სოფლები, ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლი და რიგი ტურისტული ობიექტები და ტერიტორიები.

წლის პირველ ნახევარში სეპარირებულ და რეალიზებულ იქნა 160 ტონა ქაღალდი და მუყაო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მყარი ნარჩენების გატანის მომსახურების სერვისი მიეწოდებოდა ქალაქის 475 ქუჩას და 13113 ოჯახს ქალაქის მოსახლეობის 100 %-ს და 48 სასოფლო ტერიტორიულ ერთეულებში მცხოვრები მოსახლეობის 90 პროცენტს - 18206 კომლს, ასევე ეკონომიკის სექტორის 486-ზე მეტ კომერციულ, ინსტიტუციურ და ინდუსტრიულ ობიექტს.

წლის I ნახევარში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებულ იქნა 15,784.6 ტონა მყარი მუნიციპალური ნარჩენი, რომელიც შეგროვებულია და ნაგავსაყრელში ტრანსპორტირებულია, ხოლო 186.1 ტონამდე ქაღალდი მუყაო დაექვემდებარა სეპარირებულ შეგროვებას.

ქალაქის ტერიტორიიდან მოსახლეობიდან და ეკონომიკის სექტორის ყოველდღიურად გაიზიდებოდა 65.1 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნაგავსაყრელში ყოველდღიურად მთლიანობაში გაიზიდებოდა 87.7 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ლიკვიდირებულია სტიქიური ნაგავსაყრელები. ზუგდიდდასუფთავებაში ფუნქციონირებს მობილური ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს სამართალდარღვევებზე.

გარემოს დაცვის სფეროში შემავალი მხარჯავი სუბიექტის შპს „**ანაკლია განმუხურის ბულვარის**“ ფინანსურ ხელშეწყობაზე (პროგრამული კოდი: 03 02) მიმდინარე წლის 6 თვეში 422.0 ათასი ლარი იქნა ათვისებული. სუბსიდირებული თანხების ძირითადი ნაწილი მიიმართა: 323.7 ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებაზე; ამასთან, თანხები გაიხარჯა ისეთი ძირითადი კაპიტალური და სამეურნეო დანიშნულების ღონისძიებებზე, როგორიცაა:

- ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების ზოლის ფიტოსანიტარული მონიტორინგი;
- განმუხურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ფეხბურთის მოედნის მინდვრის საფარის განახლება, კერძოდ: ქვიშის დაყრა, მინდვრის საფარის დაჩხვლეტა, ნიადაგის დატკეპვნა და მინერალური სასუქის შეტანა;
- ანაკლიის ბულვარის ტერიტორიაზე ერთი ერთეული ღია ობიექტის, ელექტროსკუტერების, სადგომის მოწყობის სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამით /კოდი 03 03/ მიმდინარე წლის 6 თვეში ბიუჯეტით პროგნოზირებული იყო 819.6 ათასი ლარის გამოყოფა, რომელიც მთლიანად ათვისებულია, ძირითადად შრომის ანაზღაურების ფონდის უზრუნველსაყოფად.

გარდა აღნიშნულისა, 6 თვეში მიღებულია საკუთარი შემოსავლები 106.9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის 79.0 ათასი ლარი ბილეთების და აბონიმენტების, 11.7 ათასი ლარი თევზის საკვების, 1.5 ათასი ლარი ყვავილების რეალიზაციიდან, 1.5 ათასი ლარი ღია სივრცით სარგებლობიდან, 13.2 ათასი ლარი კაფის შენობის იჯარით მიღებული შემოსავალი. საკუთარი შემოსავლებიდან ძირითადი თანხა 70.8 ათასი ლარი მიმართულია ოფისის (მათ შორის კომუნალური) ხარჯებისათვის.

არაფინანსური აქტივების ზრდით მუხლით გახარჯულ იქნა 26,3 ათასი ლარი, მათ შორის 10.8 ათასი ლარი მრავალწლიანი მცენარეების ნერგების შესყიდვისათვის.

მიმდინარე წლის 6 თვეში ყოველდღიურად მიმდინარეობდა ბაღის ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების დაინვესტირების მოვლა-შენახვა, სარემონტო, წყალმომარაგების, ხელოვნური ტბის, სარწყავი არხების, ცენტრალური და დამატებითი ბილიკების მოვლა-შენახვის და რიგი სხვა სამუშაოები.

ნიშანდობლივია, რომ ბოტანიკურ ბაღში აქტიურად ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები და აქტივები.

გარემოს დაცვის სფეროს მიკუთვნებული პროგრამის ფარგლებში გარკვეული მუშაობა გატარდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიისა და მოსახლეობის მღრღნელებისა და მოხეტიალე უხედამხედველო ცხოველებისგან დაცვის მიზნით ათვისებულია 1.8 ათასი ლარი.

განათლება

მიმდინარე წლის 6 თვეში განათლების დარგის დაფინანსებაზე სულ მიმართულ იქნა 12,547.6 ათასი ლარი, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 10,414.7 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 10,150.3 ათასი ლარი, აღნიშნული თანხის ძირითადი ნაწილი 88 პროცენტი, თანხით 8,890.2 ათასი ლარი, მიიმართა განათლების კუთხით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტის - „სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამის“ დაფინანსებაზე, რომელსაც ახორციელებს ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი.

ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრს აკისრია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის ფუნქცია, რომლის მიზანია საბავშვო ბაღების გამართული ფუნქციონირება.

ცენტრის მიერ სუბსიდიის სახით მიღებული საბიუჯეტო თანხები მიიმართა ხარჯების შემდეგი ძირითადი მუხლების მიხედვით, კერძოდ იგი მოხმარდა:

- **6752.4** ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებას (თანამდებობრივი სარგო და საპრემიო ანაზღაურება);
- **2079.4** ათასი ლარი - საქონელსა და მომსახურებას, მათ შორის:
 - ✓ **449.8** ათასი ლარი - შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას;
 - ✓ **801.4** ათასი ლარი - ოფისის ხარჯებს;
 - ✓ **700.5** ათასი ლარი - ბავშვთა კონტიგენტის კვებით მომსახურებას;
 - ✓ **120.4** ათასი ლარი სხვა დარჩენ საქონელსა და მომსახურებას;
- **18.7** ათასი ლარი - არაფინანსური აქტივების ზრდას.

12 საბავშვო ბაღი განთავსებულია ნაქირავე ფართში, რომლის ქირავნობის საფასური განვლილ 6 თვეში გადახდილია 108.8 ათასი ლარი.

აშენებულია და იგეგმება: რუხის, ჭითაწყარის, კახათის „რწმენა“, ნარაზენის №2, რიყის, ცაცხვის, ოქტომბრის, ინგირის „წითელქუდა“ და ქალაქის №5 საბავშვო ბაღების ეტაპობრივად ექსპლოატაციაში გადაცემა, რომელთა ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვა მიმდინარეობს ამჟამად.

ავტორიზაციის სტატუსის მისანიჭებლად, სახელმწიფო სისტემაში დარეგისტრირდა 5 საბავშვო ბაღი, კერძოდ: ქვემო კახათის, ოდიშის, ერგეტის, დარჩელის №1 და №14 საბავშვო ბაღები.

„მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლისგარეშე სწავლისა და განვითარების პროგრამა“, რომელსაც ახორციელებს ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, მოიცავს სკოლისგარეშე მრავალპროფილიან საადმინისტრაციო-საგანმანათლებლო და შემოქმედებით მიმართულებას, რომელიც მოზარდებს, ახალგაზრდებს ეხმარება თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებაში, შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენაში, უნარ-ჩვევების განვითარებაში, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების ათვისებაში, პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვაში.

ზემოთაღნიშნულ მხარჯავ სუბიექტს 6 თვეში სუბსიდიის სახით გამოეყო ასიგნება 675,0 ათასი ლარი, საკასო შესრულების მოცულობამ შეადგინა 628,7 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 93%-ია. 2026 წლის 6 თვეში მიღებული აქვს საკუთარი შემოსავლები (სწავლის ქირა, დარბაზის ქირა, სხვა ფულადი სახსრები) **67.7** ათასი ლარი.

აღნიშნული მხარჯავი სუბიექტის მიერ ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია მოხმარდა:

- **563,2** ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებას (თანამდებობრივი სარგო და საპრემიო ანაზღაურება);

- 65,5 ათასი ლარი - საქონელსა და მომსახურებას, მათ შორის:
 - ✓ 1,9 ათასი ლარი - ოფისის ხარჯებს;
 - ✓ 63,6 ათასი ლარი სხვა დარჩენ საქონელსა და მომსახურებას.

ზემოხსენებული პროგრამის საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მიერ ჩატარებულია და მის ბაზაზე შექმნილი მოზარდებისა და ახალგაზრდების სასწავლო-შემოქმედებით კოლექტივებსა და ჯგუფებს განვლილ ექვს თვეში მონაწილეობა მიღებული აქვთ ადგილობრივ და ქვეყნის მასშტაბით გამართულ მთელ რიგ მუსიკალურ, მხატვრულ, შემოქმედებით და სახელოვნებო აქტივობებში, მათ შორის უნდა აღინიშნოს:

- სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ანსამბლი „ეზი“ ქ. ბათუმში გამართულ საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში „PRIMAVERA IN WONDERLAND“ მონაწილეობდა. გამორჩეული შესრულებისა და მაღალი პროფესიონალიზმისთვის ანსამბლს გადაეცა სპეციალური საგზური, ისინი მიწვეული არიან ბულგარეთში საერთაშორისო ფესტივალზე „FESTIVAL AND CONGRESS CENTRE-VERNA“.
- სტუდია „რიბირაბო“ ქ. ბათუმში გამართულ საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში „PRIMAVERA IN WONDERLAND“ მონაწილეობდა. ანდრია ესებუამ ფესტივალის უმაღლესი ჯილდო, გრან-პრი მოიპოვა.
- ქართული ცეკვის ანსამბლმა „მტრედები“ მონაწილეობა მიიღო ბაკურიანში გამართულ შემოქმედებით ფესტივალ-გასტროლოზე „ფანტელი“. ფესტივალის ფარგლებში ქორეოგრაფსა და მონაწილეებს გადაეცათ სპეციალური დიპლომები ეროვნულ-კულტურული ტრადიციების განმტკიცებისა და ზნეობრივ-ესთეტიკური ინტერესების განვითარებისათვის.
- **2 მარტს** მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი სტუმრობდა, რომელმაც ვრცელი რეპორტაჟი მიუძღვნა სასახლის საქმიანობის შემეცნებით და შემოქმედებით მიმართულებებს.
- 2026 წლის 9 ივნისს სამეჯლისო-სპორტული ცეკვების სტუდიის აღსაზრდელები მონაწილეობდნენ ქალაქ ფოთში გამართულ სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ჩემპიონატში „**კოლხეთის თასი 2026**“, სადაც წარმატებით იასპარეხეს და საპრიზო ადგილები მოიპოვეს.

საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური ხელშეწყობის ფარგლებში მიმდინარე წლის 6 თვეში გათვალისწინებული 325.4 ათასი ლარიდან ფაქტიურად გახარჯულია 280.0 ათასი

ლარი, რომელიც მიიმართა მერის სტიპენდიანტების დაფინანსებაზე და წარმატებული ახალგაზრდების ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე.

მერიის განათლების პროფილის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის №2260 განკარგულების შესაბამისად ახორციელებს **საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამას დელეგირებული თანხებით**, რომელიც მოიცავს სასკოლო დაწესებულებების მოსწავლეთა სატრანსპორტო მომსახურებით უზრუნველყოფას. მასში ჩართულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ზუგდიდის 39 და აფხაზეთის 5 საჯარო სკოლის 4027 (ოთხიათას ოცდაშვიდი) მოსწავლე. 6 თვეში აღნიშნული მომსახურების ასანაზღაურებლად ჯამში გახარჯულია 1,464.9 (ერთი მილიონ ოთხასსამოცდაოთხი ათას ცხრაასი) ათასი ლარი.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად 2026 წლის ექვს თვეში ასიგნებული განსაზღვრული იყო 4,957.3 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 4,295.1 ათასი ლარი, რომელიც გადანაწილდა კონკრეტულ პროგრამებს შორის. აქედან სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“, პირველ ნახევარში მიიმართა 892.7 ათასი ლარი მათ შორის: თანამდებობრივი სარგო - 573.3 ათასი ლარი; პრემია 67.0 - ათასი ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება - 86.0 ათასი ლარი; მივლინება - 14.0 ათასი ლარი; ოფისის ხარჯები - 39.9 ათასი ლარი; კომუნალური ხარჯები - 27.0 ათასი ლარი; კვების ხარჯი - 33.0 ათასი ლარი; რბილი ინვენტარი - 16.4 ათასი ლარი; ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი - 11.8 ათასი ლარი.

ექვსი თვის განმავლობაში ზუგდიდელმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს მრავალ საერთაშორისო, რესპუბლიკურ, რეგიონალურ და ადგილობრივ ტურნირში.

რაგბის განვითარება პროგრამის ფარგლებში 6 თვეში გახარჯულია 119.2 ათასი ლარი. რომელიც სრულად მოხმარდა ა(ა)იპ „**რაგბის კლუბი ზუგდიდის**“ ფინანსურ მხარდაჭერას. პროგრამის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდა თაობის სპორტული აღზრდის ხელშეწყობა, საკლუბო რაგბის განვითარება, რაგბის, როგორც სპორტის სახეობის, პოპულარიზაცია და სპორტსმენებისთვის შესაბამისი საწვრთნელი და საკონკურსო პირობების უზრუნველყოფა.

„ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამას“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“.

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის 2026 წლის 6 თვის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1067.0 ათას ლარს, ზემოაღნიშნული პროგრამის დასაფინანსებლად, ბიუჯეტიდან ათვისებულია 874,3 ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნა ძირითადი ხარჯების ასანაზღაურებლად, კერძოდ: 828,3 ათასი ლარი თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე, 43,9 ათასი ლარი საქონელსა და მომსახურებაზე, რაც შეეხება საკუთარ სახსრებს, შემოსავალმა შეადგინა 41.3 ათასი ლარი, საიდანაც გახარჯულია 13,5 ათასი ლარი.

„ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის“ პროფილი მრავალფეროვანია და ის მოიცავს კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის სხვადასხვა მიმართულებას. ცენტრის მიერ 6 თვეში ჩატარებულია აღნიშნული მიმართულებების ოცამდე კულტურულ-სახელოვნებო ღონისძიება, მათ შორის უნდა გამოიყოს რამდენიმე აქტივობა, კონკრეტულად:

- 20 იანვარს - ქართველი პოეტისა და მთარგმნელის ზურაბ ნარმანიას დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით აღინიშნა.
- 28 იანვრიდან 3 თებერვლის- ჩათვლით ცენტრის ფოლკლორული ანსამბლი „ოდოია“ მიწვეული იყო ესპანეთში, ქ ბილბაოში საქართველოს კულტურის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში.
- 24 თებერვალს -სამხატვრო გალერეაში თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტის ლიზა ვეკუას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა მოეწყო.
- 25 თებერვალს - ცენტრის ფოლკლორული ანსამბლი „ოდოია“ მიწვეული იყო ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემაში „ჩემი საქართველო“.
- 30 მარტს - მიხეილ (მაცი) ხორავას სამხატვრო გალერეაში მხატვარ ვლადიმერ ხვიტიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიხსნა.
- 31 მარტს- ქალაქ ზუგდიდიში გაიხსნა ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო ცენტრი სადაც ფოლკლორული ანსამბლი „ოდოია“ მონაწილეობდა.
- 3 აპრილს ჩხორიის სამოყვარულო თეატრმა მაყურებელს სპექტაკლის „ქუჩა იყო წითელი ზღვა“ პრემიერა წარუდგინა. რეჟისორი ვეფხვია გორგოძე.
- 6 აპრილს მიხეილ (მაცი) ხორავას სამხატვრო გალერეაში ადგილობრივ მხატვართა ნამუშევრების საადგილო გამოფენა გაიხსნა. წარმოდგენილი იყო ჟანრობრივად და თემატიკურად მრავალფეროვანი ნამუშევრები: ფერწერა, ნაქარგობა, თექა გრაფიკა.
- 5 მაისს - რეზო ბულიას სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ჩელას“ უფროსი თაობა მიწვეული გახლდათ გურიის მუნიციპალიტეტში ქ. ოზურგეთში დამსახურებული ქორეოგრაფის, ვაჟა ახვლედიანის სახელობის ვარსკვლავის გასნის ცერემონიაზე.
- 18 მაისს - მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით იონა მეუნარგიას სახელობის მუზეუმს საჯარო სკოლების მოსწავლეები სტუმრობდნენ.
- 18 მაისს- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებითა და საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით „აფხაზეთობის კვირეული“

დადიანების ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმების საჯარო სივრცეში მრავალფეროვანი კულტურული და შემეცნებითი ღონისძიებით აღინიშნა, სადაც მონაწილეობდა ცენტრის ფოლკლორული ანსამბლები: „ჩელა“ და „ოდოია“.

- 26 მაისს - მიხეილ (მაცი) ხორავას სამხატვრო გალერეაში ზუგდიდელი მხატვრების ნამუშევრების საგაზაფხულო გამოფენა მოეწყო.
- 29 მაისს- ჩატარდა ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის რეზო ბულიას სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ჩელას“ საიუბილეო საღამო.
- 19 ივნისს- მარტვილში გაიმართა მარტვილის „კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის“ ბავშვთა და მოზარდთა სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „კოლხიდას“ 30 წლის საიუბილეო კონცერტი, სადაც მიწვეული იყო ცენტრის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ცისკარი“.

ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის მიერ 2026 წლის 6 თვეში ბიუჯეტიდან ათვისებულია 633.6 ათასი ლარი, აქედან ძირითადი თანხა - 605.9 ათასი ლარი მიიმართა შრომის ანაზღაურებაზე, 10.2 ათასი ლარი - საქონელსა და მომსახურებაზე.

მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო ქსელში გაერთიანებულია ცენტრალური, 3 საქალაქო და 30 სასოფლო ბიბლიოთეკა. ექვსი თვის განმავლობაში ჩატარდა სამ ათეულზე მეტი აქტივობა.

ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან, სასოფლო და საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალებთან და მის დაქვემდებარებაში არსებულ „ამერიკულ კუთხე“-სთან ერთად ახორციელებს სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებას.

კულტურული ღონისძიების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 9,6 ათასი ლარი, რომელიც რომელიც მიიმართა დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, სსიპ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროფესიული სახელმწიფო ინტეგრირებული თეატრის „აზდაკის ბაღი“ სპექტაკლის „მე ვხედავ მზეს“ ჩვენებაზე.

ტელერადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის საბიუჯეტო კოდით გათვალისწინებული ხარჯების ასანაზღაურებლად მიიმართა 22,4 ათასი ლარი.

რელიგიის ფინანსური ხელშეწყობის დანიშნულებით 6 თვეში გახარჯულია 160.0 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა ზუგდიდის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მამათა სამონასტრო კომპლექსის სამშენებლო - სარემონტო სამუშაოების მომსახურების შესყიდვას და ეზოს კეთილმოწყობას.

სახელოვნებო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულტურის სფეროს სხვა მუნიციპალურ პროგრამებს შორის, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, აღნიშნულ მხარჯავ სუბიექტს 6 თვეში ათვისებული აქვს 669.3 ათასი ლარი. ათვისებული თანხები ძირითადად მოხმარდა: 523,3 ათასი ლარი - ძირითად მომსახურება და შემოქმედებითი პედაგოგიური საქმიანობით დაკავებული მუშაკების შრომის ანაზღაურებას, 88,2 ათასი ლარი

- შტატგარეშე მუშაკთა ხელფასებს; გაერთიანების საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 51,6 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა მიმდინარე საოპერაციო ხარჯების ანაზღაურებაზე.

განვლილ 6 თვეში, როგორც სახელოვნებო სკოლების გაერთიანების, ისე საქართველოს მუსიკალურ-სახელოვნებო ცენტრთან მათი ჩართულობით ჩატარებულია და განხორციელებულია 20-მდე აქტივობა და პროექტი.

საცხენოსნო კლუბ "ხარებას" ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გახარჯული აქვს 40.0 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა ცხენების საკვებით უზრუნველყოფაზე.

„ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ (კოდი 05 04) დასაფინანსებლად 2026 წლის ექვს თვეში გამოიყო 420.0 ათასი ლარი და გაიხარჯა 387.7 ათასი ლარი შემდეგი სახით:

1. თანამდებრივი სარგო - 312.5 ათასი ლარი;
2. შტატით მომუშავეთა პრემია - 34.2 ათასი ლარი;
3. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგო - 34.7 ათასი ლარი;
4. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა პრემია - 6.3 ათასი ლარი.

აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“**, რომელმაც 2025 წელს გაიარა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საფეხბურთო სკოლების კატეგორიზაციის პროცესი, რომლის შედეგად მიენიჭა II კატეგორია, მიიღო საფეხბურთო სკოლის სტატუსი და პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 200.0 ათასი ლარით. აღნიშნული თანხა 2026 წელს სრულად იქნა ათვისებული სპორტული ინვენტარისა და სათამაშო ფორმების შესაძენად.

სკოლის ასაკობრივი გუნდები აქტიურად არიან ჩართულნი როგორც რეგიონალურ, ისე ეროვნულ ჩემპიონატებში:

2026 წლის ექვს თვეში საფეხბურთო სკოლის ასაკობრივმა გუნდებმა წარმატებით იასპარეხეს სხვადასხვა ტურნირზე:

1. **ოთარ ძალამიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი** - U12 ასაკობრივმა გუნდმა დაიკავა I ადგილი;
2. **საბავშვო საფეხბურთო ფესტივალი „წყალტუბო 2026“** - U11 და U12 ასაკობრივმა გუნდებმა წარმატებით იასპარეხეს;
3. **კახა კალაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი - KALA CUP 2026**
 - U12 – I ადგილი;
 - U11 – წარმატებული მონაწილეობა;
4. **ბექა გოცირიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი - BEKA CUP 2026**
 - U12 – I ადგილი;

5. მეფე დავითის თასი – KING DAVID CUP

U11 და U11-ის დუბლების გუნდებმა წარმატებით იასპარეზეს.

U10, U11, U11-ის დუბლები, U12, U12-ის დუბლები, U13, U13-ის დუბლები და U14 ასაკობრივმა გუნდებმა აღნიშნულ პერიოდში ჩაატარეს:

- 120 ოფიციალური მოსამზადებელი (საშინაო და გასვლითი) შეხვედრა;
- 32 ამხანაგური მატჩი.

U15 და U17 ასაკობრივმა გუნდებმა:

- ჩაატარეს 23 ოფიციალური მატჩი;

სსიპ „ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის“ ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 6 თვეში თეატრის პოპულარიზაციის, ახალი სპექტაკლების დადგმასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე გამოიყო 30.0 ათასი ლარი.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფერო

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებისათვის განვლილ 6 თვეში საკასო შესრულებამ შეადგინა 1945.8 ათასი ლარი.

ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებანი ჯანდაცვის და სოციალურ სფეროს მიკუთვნებული პროგრამების მიხედვით მიიმართა:

მუნიციპალიტეტზე დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსებაზე, რომელიც ხორციელდება ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ, 6 თვის გეგმა-პროგნოზი შეადგენს 305,6 ათას ლარს, 6 თვეში ათვისებულია 280,7 ათასი ლარი, რომლის უდიდესი ნაწილი ხარჯების კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, 184,0 ათასი ლარი, მიიმართა მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე.

- 2026 წლის 6 თვის საანგარიშგებო პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში“ სასწრაფო და რუტინული შეტყობინების საფუძველზე დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში (დზეი) დარეგისტრირებული იქნა ინფექციური დაავადებების 927 შემთხვევა. მათ შორის ტუბერკულოზზე საექმო 532 შემთხვევა, რომელთა შორის აქტიური ტუბერკულოზი მგბ(+) დაუდასტურდა 9-ს, მგბ(-) 10-ს, ინფექციის კერებში 40 კონტაქტირებულ პირს ჩაუტარდა სკრინინგული კვლევა, დამყარდა მეთვალყურეობა აქტიური ტუბერკულოზის გამოვლენის მიზნით.

- 2026 წლის 6 თვის საანგარიშგებო პერიოდში რეგისტრირდა ცხოველთან ექსპოზიციის 1506 შეტყობინება, აქედან 7 პირი იყო აფხაზეთში მცხოვრები, სხვა რაიონში მცხოვრები - 229 პირი. ანტირაბიული მკურნალობის სრული კურსი ჩაუტარდა 558 პირს, პირობითი 948 პირს. შეწყვიტა მკურნალობა ცხოველთა იდენტიფიცირების შედეგად 13-მა პირმა.
- „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულებაში ხორციელდება ორსულთა გამოკვლევა „ბ“ ჰეპატიტზე, აივ-ინფექციას, სიფილისსა და ც ჰეპატიტზე, სულ ამ პერიოდის განმავლობაში გამოკვლეულია 338 ორსული. ტესტირებით „ბ“ ჰეპატიტზე 1, C ჰეპატიტზე 1, ხოლო სიფილისზე -1 დადებითი შემთხვევა გამოვლინდა, რომელთა ბიოლოგიური მასალა კომფირმაციული კვლევისთვის გადაგზავნილ იქნა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში.
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-60/ნ „პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის, აგრეთვე იმუნიზაციის მართვის წესების და საჭირო სააღრიცხვო-საანგარიშგებო ფორმების შესრულების შესახებ“ ბრძანების შესაბამისად, ჩატარდა 31 მონიტორინგი ამბულატორიებში წინასწარ შემუშავებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, 29 საექიმო და 4 სამედიცინო დაწესებულებაში.
- საანგარიშგებო პერიოდში ზუგდიდის ტერიტორიაზე სულ განხორციელდა 6756 აცრა. მ.შ. გეგმიური 6418. ბცჟ ვაქცინაცია ჩაუტარდა 294 ახალშობილს; ბ ჰეპატიტის საწინააღმდეგო 297-ს, ბავშვთა იმუნიზაცია ჰექსაქცემით (6 ვალენტიანი ვაქცინა) ჩატარდა 2788 აცრა, ტეტრაქსიმით (18 თვ; 5 წლის ასაკში)-682, წითელა-წითურა- ყბაყურის საწ. 1,2 დოზით აიცრა 585 ბავშვი, როტა 1 და 2 დოზით- 370. პნევმოკოკი - 688, აპვ ვაქცინით 478, ტდ ვაქცინით 236 აცრა და არაგეგმიური 338 აცრა (პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო 13-45 წლის ქალები აიცრა-61, ბიჭები-35, პნევმოკოკის საწინააღმდეგოდ ჩატარდა 60 წლის - 4 აცრა, ბ-ჰეპატიტის საწინააღმდეგო ჩატარდა - 238.
- 2026 წლის საანგარიშგებო პერიოდში გრიპის და გრიპისმაგვარი დაავადებების მონიტორინგის ფარგლებში ჰოსპიტალიზირებულ პაციენტთა რაოდენობამ შეადგინა 11659, მათ შორის რესპირატორული ინფექციის გართულებით 1102. ამბულატორიული მომსახურეობა გაეწია 34983 პაციენტს, გრიპისმაგვარი დაავადება გამოვლენილი იყო 1701 შემთხვევაში.
- სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ცენტრში 2026 წლის 6 თვის პერიოდში მიღებულ იქნა 309 891,21 ლარის და გაცემული იქნა 268 249,28 ლარის ვაქცინები, სტრატეგიული შრატები, სწრაფი მარტივი ტესტები სახარჯი მასალით.
- საანგარიშგებო პერიოდში ჩატარებული იქნა მონიტორინგი 17 სახელმწიფო და 5 კერძო საბავშვო ბაღში. მონიტორინგის დროს სახელმწიფო საბავშვო ბაღში გამოვლენილი დარღვევების შესახებ ეცნობა ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრს შესაბამისი ზომების მისაღებად.
- საანგარიშგებო პერიოდში განხორციელდა მონიტორინგი 62 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მათ შორის 7 კერძო სკოლაში. შემოწმდა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები და გაიცა რეკომენდაციები.

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სტომატოლოგიური სერვისის მიმწოდებლებში ინფექციის კონტროლის ღონისძიებებზე ზედამხედველობა განხორციელდა 25 კაბინეტში, გამოვლინდა, რომ სასტერილიზაციო ოთახის მოწყობას საჭიროებს 6 კაბინეტი, ინსტრუმენტების სარეცხი- სადეზინფექციო საშუალებების სრულყოფილი ნაკრები არ გააჩნდა 4 კაბინეტს, ნორმატივებით განსაზღვრულ დოკუმენტაციას სრულყოფილად აწარმოებს 17, ხოლო არ აწარმოებს 8 კაბინეტი, ნარჩენების გატანის წესის დარღვევა გამოვლინდა 4 კაბინეტში. თითოეულ წესის დამრღვევ სტომატოლოგიური სერვისის მიმწოდებელს მიეთითა დარღვევებზე, დროულად მოახდინონ რეაგირება და გონივრულ ვადაში მოახდინონ ხარვეზების აღმოფხვრა.
- ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამის ფარგლებში C ჰეპატიტზე, აივ-ინფექციასა და ტუბერკულოზზე სკრინინგი ჩატარდა 329 ბენეფიციარს, ხოლო B ჰეპატიტზე -286-ს. ჩატარებული კვლევების შედეგად C ჰეპატიტი დაუდასტურდა 2-ს, ხოლო B ჰეპატიტი-2 ბენეფიციარს.
- ცენტრის პარაზიტოლოგიური სამსახურის მიერ პარაზიტულ დაავადებებზე ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა ბალების 831 აღსაზრდელს, მათ შორის ინვაზირებული აღმოჩნდა 33 აღსაზრდელი. დაინვაზირება შეადგენს გამოკვლეულთა 3,9%-ს.
- ცენტრმა პირველ კვარტალში განახორციელა ზედამხედველობა და მონიტორინგი ზუგდიდის ტერიტორიაზე მდებარე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად: მონიტორინგი ჩატარდა 32 ბიზნესოპერატორს. მათ შორის სანიტარულ ჰიგიენური წესები და ნორმები სრულად არის დაცული 16 შემთხვევაში. მეორადი (გადამოწმება) მონიტორინგი, გონივრული ვადის გასვლის შემდეგ ჩატარდა 14 ბიზნესოპერატორს. დარღვევები გათვალისწინებულია. 2 ბიზნესოპერატორი ექვემდებარება გადამოწმებას. აპრილის თვეში 2 ბიზნეს ოპერატორზე შედგა ჯარიმის ოქმი. საქართველოს სამართალდარღვევათა კოდექსის 432 პრიმა მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით მიმდინარე წლის 6 თვეში სხვადასხვა პროგრამის განხორციელებაზე, მიიმართა სულ 1665.1 ათასი ლარი, რითაც ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისი და დახმარება მიიღო 4 195-მა ადამიანმა (3049 ქალი და 1146 მამაკაცი).

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვას მოხმარდა 524,3 ათასი ლარი. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჩატარებულია კომისიის 24 სხდომა. პროგრამით ისარგებლა 1624-მა ბენეფიციარმა (ქალი-945, მამაკაცი-679). ქვეპროგრამების მიხედვით ასიგნებები მიიმართა:

- **64,8 ათასი ლარი** - ძვირადღირებული გამოკვლევების (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია) თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 265-მა მოქალაქემ;
- **20,0 ათასი ლარი**-კორონაროგრაფიის თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 20-მა მოქალაქემ;
- **9,0 ათასი ლარი** - PET/კტ კვლევის თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 9 მოქალაქემ;
- **36,3 ათასი ლარი** - სამედიცინო მომსახურების (ქირურგიული ოპერაცია) თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 51-მა მოქალაქემ;
- **98,0 ათასი ლარი** - ძვირადღირებული მედიკამენტების თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 541-მა მოქალაქემ;
- **123,0 ათასი ლარი** - აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე 0-18 წლამდე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამაზე. სარგებლობს 195 ბავშვი;
